საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №49
2016 წლის 10 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის მე-18 მუხლის 7^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7^2. საფოსტო გზავნილით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის გაფორმების ადგილია გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი“ – ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია, ხოლო საფოსტო გზავნილით საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლის გაფორმების ადგილებია: გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი“ – ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია და გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“ – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია, სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 106-ე კმ.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**